

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი #8

ქ. ონი

16. 08. 2018 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე შუქურა ჯაფარიძე.

საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 31 წევრი: შუქურა ჯაფარიძე, ბაჩანა მარკოიშვილი, ვასილ მეტრეველი, ანა ბაქრაძე, ჯონი ბურდილაძე, ვასილ მაისურაძე, გოჩა მეტრეველი, გივი მეტრეველი, ვლადიმერ ჩლაიძე, ვანო ბალაშვილი, დავით მეტრეველი, დიმიტრი გოშაძე, ღვთისაგარ ბაკურაძე, ვლადიმერ ბერელიძე, ჭაბუკა კერვალიშვილი, გიორგი მეტრეველი, გიორგი სულაძე, გიორგი მარკოიშვილი, სერგო ლობჯანიძე, მამუკა ყავლაშვილი, კესო ჩარკვიანი, გიორგი მაისურაძე, შორენა რეხვიაშვილი, ნოდარ ბურდილაძე, ბექარი მაისურაძე, დავით სხირტლაძე, ბესიკი მაისურაძე, გელა მეტრეველი, აველ ორდინიძე, როზა ჩალაძე, ალექსანდრე ბერიშვილი.

არ ესწრებოდა 2 წევრი: სონია გუგეშაშვილი, ირმა სტეფანაძე-იაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი მარიამ გობეჯიშვილი, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის ანალიზისა და დაგეგმარების განყოფილების უფროსი თინათინ ბროლაშვილი, მერიის სივრცითი მონაცემებისა და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი თეიმურაზ გრძელიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელი: თინათინ ბროლაშვილი-მერიის საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის ანალიზისა და დაგეგმარების განყოფილების უფროსი

2. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო -სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ.

მომხსენებელი: მარიამ გობეჯიშვილი-მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი

3. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) მიზნით შენობა-ნაგებობების გამოყოფის შესახებ.

მომხსენებელი: მარიამ გობეჯიშვილი-მერიის ადმინისტრაციული სამსახურის

იურიდიული განყოფილების უფროსი

4. 2018 წელს ონის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: თეიმურაზ გრძელიშვილი-მერიის სივრცით მოწყობისა და

ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი

5. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარიამ გობეჯიშვილი-მერიის ადმინისტრაციული სამსახურის

იურიდიული განყოფილების უფროსი

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელი: თინათინ ბროლაშვილი-მერიის საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის ანალიზისა და დაგეგმარების განყოფილების უფროსი

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ;

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი- არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო -სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ.

მომხსენებელი: მარიამ გობეჯიშვილი-მერიის ადმინისტრაციული სამსახურის

იურიდიული განყოფილების უფროსი

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო -სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი- არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს: 3. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) მიზნით შენობა-ნაგებობების გამოყოფის შესახებ.

მომხსენებელი: მარიამ გობეჯიშვილი-მერიის ადმინისტრაციული სამსახურის

იურიდიული განყოფილების უფროსი

მ. გობეჯიშვილმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) მიზნით შენობა-ნაგებობების გამოყოფის შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი- არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს:4. 2018 წელს ონის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: თეიმურაზ გრძელიშვილი-მერიის სივრცით მოწყობისა და

ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი 2018 წელს ონის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი- არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს: 5. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარიამ გობეჯიშვილი-მერიის ადმინისტრაციული სამსახურის

იურიდიული განყოფილების უფროსი

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ და აღნიშნა, რომ საკითხი განხილული იქნა 18. 07.2018 წ. ბუროს სხდომაზე, გამოითქვა გარკვეული შენიშვნები, რომლებიც გარკვეულწილად გათვალისწინებულია წარმოდგენილ დადგენილების პროექტში.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-26, წინააღმდეგი- 4

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამონურვის შემდეგ საკრებულოს წევრებმა ისაუბრეს სხვადასხვა საკითხებზე.

ნ. ბურდილაძემ ისაუბრა ბეერ-შევას პარკში მდებარე სპორტული დარბაზის რეაბილიტაციის შესახებ და აღნიშნა, რომ ძალიან გაჭიანურებულია აღნიშნული დარბაზის რეაბილიტაციის დასრულების საკითხი და საჭიროა კონკრეტული ღონისძიებების გატარება და განაცხადა, რომ ფრაქცია „ონის“ წევრები გამოთქვამენ სურვილს აღნიშნული ობიექტის ჩაბარებისას შეყვანილ იქნენ მიღება-ჩაბარების კომისიის შემადგენლობაში.

შ. ჯაფარიძის თქმით, აღნიშნულ სპორტულ დარბაზს რეაბილიტირებული აქვს პროექტით გათვალისწინებული ძირითადი ნაწილი, დარჩენილია მხოლოდ წვრილმანები, მენარმეს აქვს საჭარამო სანქციები, მათთან ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში უნდა გამოცხადდეს ტენდერი დარჩენილ სამუშაოებზე, რაც დროში უფრო გაჭიანურდება.

შემდეგ საკრებულოს წევრებმა ისაუბრეს ქ. ონში ბულვარისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განსათავსებელი პარკის პროექტზე. ნ. ბურდილაძემ, ბ. მაისურაძემ აღნიშნეს, რომ ონის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი წინააღმდეგია ბულვარში არსებული საჭიდაო დარბაზის

დანგრევის, ესაა დარბაზი, აღნიშნა ნ. ბურდილაძემ, სადაც ონის ახალგაზრდობა აღიზარდა და რომელიც უნიკალურია არქიტექტურული თვალსაზრისით და განსაკუთრებით ძვირფასი შენობაა ყველა ონელისათვის. გ. მაისურაძემ აღნიშნა, რომ დარბაზი უნდა შენარჩუნდეს, ოღონდ აუცილებელია რეკონსტრუქცია, რის შემდეგაც იგი იფუნქციონირებს, როგორც ჭიდაობის სავარჯიშო დარბაზი. შ. ჯაფარიძემ განმარტა, რომ საუბარია არა ჭიდაობის დარბაზის დანგრევაზე, არამედ რეკონსტრუქციაზე. თ. გრძელიშვილი და ბ. მარკოიშვილი აღნიშნავენ, რომ აღნიშნული ჭიდაობის დარბაზის ნაცვლად, უმჯობესი იქნება აშენდეს ახალი თანამედროვე სტანდარტების დარბაზი სხვა ტერიტორიაზე, რომელიც უმასპინძლებს ჭიდაობის ტურნირებს და ამ დარბაზის ტერიტორიაზე განთავსდეს პარკისათვის ის სივრცე, რაც პროექტითაა გათვალისწინებული. ვ. მეტრეველმა ისაუბრა ონის, როგორც უდიდესი ტურისტული პოტენციალის მქონე მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებზე და იმ ნაბიჯებზე, რაც ამ მიმართულებითაა გადასადგმელი. მისი თქმით, აუცილებელია შეიქმნას ის ინფრასტრუქტურული გარემო და დაფინანსდეს ის პროექტები, რომლებიც ტურისტს მოიზიდავს და შემოსავლის წყაროც იქნება მუნიციპალიტეტისათვის. ამისათვის პირველ რიგში საოჯახო სასტუმროებისათვის ხელისშეწყობა და დახმარებაა საჭირო. თანამედროვე სტანდარტებით მოეწყოს ბეერ-შევას პარკი.

შემდეგ საკრებულოს წევრებმა ისაუბრეს საცურაო დახურული დარბაზის მშენებლობაზე. ვ. მეტრეველმა აღნიშნა, რომ ოლიმპიური დარბაზის აშენება საკმაოდ ძვირი ფუფუნებაა, მუნიციპალიტეტს, გარდა აშენებისა, ძალიან ძვირი დაუჯდება მისი მოვლა-შენახვა, რაც შეუძლებელიც იქნება არსებული ბიუჯეტისა და საცურაო აუზით მოსარგებლე კონტინენტის გათვალისწინებით. უმჯობესი იქნება ბეერ-შევას პარკის განვითარების კონცეფციაში ჩაჯდეს მცირე სტანდარტის და არა გრანდიოზული, ოლიმპიური აუზი. შ. ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ აუზი აუცილებელია და დატვირთვითაც იმუშავებს, მისი თქმით, დღეის მდგომარეობით რამდენიმე ბავშვი ამბროლაურში დადის აუზზე.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

შუქურა ჯაფარიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

